

საქართველოს უზენაეს სასამართლოში სტაჟირების გავლის წესი

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

1. ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (შემდგომში – სასამართლო) სტაჟირების გავლის წესსა და პირობებს.

მუხლი 2.

მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების, მათი პროფესიული განვითარების, პრაქტიკული უნარჩვევების გამომუშავებისა და სრულყოფის მიზნით, სასამართლო ახალგაზრდა სპეციალისტებს უქმნის დამოუკიდებელი მუშაობისა და შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლენისათვის საჭირო პირობებს.

მუხლი 3.

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) სტაჟირება – სასამართლოს აპარატში (სტრუქტურულ ერთეულში) ამ წესით რეგულირებული, ანაზღაურების გარეშე საქმიანობა;
- ბ) სტაჟიორი – პირი, რომელიც ამ წესის შესაბამისად გადის სტაჟირებას;
- გ) კანდიდატი – პირი, რომელსაც ამ წესის შესაბამისად წარდგენილი აქვს განაცხადი სტაჟირების გავლის შესახებ.

თავი II. სტაჟიორის სტატუსი

მუხლი 4.

1. სტაჟიორად შეიძლება დაინიშნოს:

- ა) უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს იურისტის კვალიფიკაცია;
- ბ) დამამთავრებელი ან დამამთავრებელის წინა კურსის სტუდენტი;

2. სტაჟიორი ინიშნება კონკურსის წესით, გასაუბრების ან/და ტესტირების ფორმით;

3. სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია, განსაკუთრებულ შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება სტაჟიორის დანიშვნის შესახებ მისი კონკურსის გავლის გარეშე.

მუხლი 5.

1. კანდიდატთან გასაუბრებას ატარებს სტაჟირების კომისია (შემდგომში – კომისია) ან კომისიის გადაწყვეტილებით – მისი რამდენიმე წევრი. (29.05.2008, №13-ს§1)
2. კომისია კანდიდატებიდან არჩევს საუკეთესო მონაცემებისა და შედეგების მქონე პირებს და ხმათა უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის სტაჟიორად დანიშვნის მიზანშეწონილობის თაობაზე. თანაბარი ხმების შემთხვევაში გამამწვეტი მნიშვნელობა ენიჭება კომისიის თავმჯდომარის ხმას.

მუხლი 6.

1. სასამართლოში სტაჟირების გავლის თაობაზე განაცხადის წარდგენისა და სხვა ორგანიზაციული საკითხების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კომისია.

მუხლი 7.

1. სტაჟირების ვადა განისაზღვრება არაუმეტეს 1 წლით.
2. სტაჟირების პირველადი ვადაა 6 თვე. პირველადი ვადის ამოწურვის შემდეგ სტაჟიორი გაივლის გასაუბრებას სტაჟირების კომისიის ან კომისიის გადაწყვეტილებით – მისი რამდენიმე წევრის წინაშე. გასაუბრების შედეგების მიხედვით კომისია წყვეტს სტაჟირების ვადის კიდევ 6 თვით გაგრძელების საკითხს. სტაჟირების ვადის შემდგომი გაგრძელება დაუშვებელია. (29.05.2008, №13-ს§1)
3. სტაჟირების წარმატებით გავლის შემთხვევაში კომისიის გადაწყვეტილებით, სტაჟიორს ეძლევა სტაჟირების სერტიფიკატი.

მუხლი 8.

ამოღებულია. (6.10.2014, №25-ს §1)

მუხლი 9.

1. სტაჟიორის სასამართლოში მიღებისას დგება მისი პირადი საქმე.
2. სტაჟიორის პირადი საქმის წარმოება და მისი შემდგომი კონტროლი ევალება უზენაესი სასამართლოს საერთო განყოფილების კადრების სექტორს, რომლის კომპეტენციაშიც შედის საკადრო საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების გაფორმება.

თავი III. სტაჟიორის უფლებები და მოვალეობები

მუხლი 10.

1. სტაჟიორს უფლება აქვს:

- ა) სასამართლოს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის ნებართვით გაეცნოს სამსახურებრივ დოკუმენტაციას (საარქივო მასალებს), ისარგებლოს სათანადო ინფორმაციით (ბიბლიოთეკით, ელექტრონული საშუალებებით და სხვა), თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს; დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს სასამართლოს ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში;
- ბ) გაეცნოს სასამართლოს სტრუქტურული ქვედანაყოფების მუშაობის სპეციფიკას, იმ საკითხების მომზადებასა და სათანადო დოკუმენტების შედგენას, რომლებიც მოცემულ სფეროს განეკუთვნება და მიღებული ცოდნა გამოიყენოს დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას.

2. სტაჟიორი, შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის მითითებით და პასუხისმგებელი მოხელის მეთვალყურეობით ასრულებს კონკრეტულ, ცალკეულ დავალებებს, რომელიც შეიძლება ეხებოდეს სასამართლოს სტრუქტურული ქვედანაყოფის ან ზოგადად სასამართლოს საქმიანობის საკითხებს.

მუხლი 11.

1. სტაჟიორს უფლება აქვს თხოვნით მიმართოს კომისიის თავმჯდომარის წინაშე იმავე სასამართლოს სხვა სტრუქტურულ ერთეულში გადაყვანის შესახებ.

2. სასამართლოს თავმჯდომარე სტაჟიორის მოსწრებისა და ცოდნის დონის, აგრეთვე, სასამართლოს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება სტაჟიორის გადაყვანის შესახებ.

მუხლი 12

1. სტაჟიორი მოვალეა:

- ა) მასზე დაკისრებული დავალებების შესრულებისას იხელმძღვანელოს შესაბამისი სამართლებრივი აქტებით.
- ბ) დადგენილ ვადებში შეასრულოს სასამართლოს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის ყველა დავალება.

2. სტაჟირების პერიოდში სასამართლოს თავმჯდომარის ან შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის მითითების შემთხვევაში აწარმოოს პირადი მოსწრების დღიური და თემატიკის მითითებით მასში ასახოს ჩატარებული სამუშაოები.

მუხლი 13.

1. სტაჟიორი ვალდებულია, სასამართლოში გამოცხადდეს და იმყოფებოდეს სასამართლოს შინაგანაწესით გათვალისწინებულ მოხელეთა სამსახურში გამოცხადებისა და ყოფნის ვადებში.
2. სტუდენტი სტაჟიორისათვის შეიძლება განისაზღვროს სასამართლოში გამოცხადებისა და ყოფნის განსხვავებული რეჟიმი.
3. ხელწერილი ამ წესისა და სასამართლოს რეგლამენტის გაცნობის შესახებ თან ერთვის სტაჟიორის პირად საქმეს.

თავი IV. სასამართლოს მოვალეობები

მუხლი 14.

სასამართლოს ადმინისტრაცია სტაჟიორს უქმნის სათანადო პირობებს პროფესიული უნარ-ჩვევების პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად.

მუხლი 15.

1. სტაჟირების უშუალო ხელმძღვანელი პირადად აკონტროლებს სტაჟიორის მიერ პირადი მოსწრების დღიურის წარმოებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). იგი სტაჟიორს პერიოდულად აწვდის სასწავლო თემატიკას, აძლევს დავალებებს და აკონტროლებს მათ შესრულებას.
2. სტაჟირების უშუალო ხელმძღვანელი ვალდებულია სტაჟიორს მისცეს მიმართულება და საჭიროების შემთხვევაში განუსაზღვროს შესასრულებელი სამუშაოს კონკრეტული ვადა, მიაწოდოს აღნიშულთან დაკავშირებით დროული და სწორი ინფორმაცია.

მუხლი 16.

სტაჟირების უშუალო ხელმძღვანელი ვალდებულია, სასამართლოს თავმჯდომარესა და საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს სისტემატურად ან წინასწარ დადგენილ ვადაში ჩააბაროს ანგარიში სტაჟირების მიმდინარეობის შესახებ.

თავი V. სტაჟირების კომისია

მუხლი 17.

1. სტაჟირების შერჩევის და მათი შემდგომი საქმიანობის განსაზღვრის მიზნით იქმნება სტაჟირების კომისია.
2. სტაჟირების კომისია, შედგება კომისიის თავმჯდომარისა და წევრებისაგან.
3. კომისიის წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.
4. კომისიის თავმჯდომარეს ნიშნავს და ათავისუფლებს სასამართლოს თავმჯდომარე. სასამართლოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით კომისიის წევრებს ნიშნავს და ათავისუფლებს კომისიის თავმჯდომარე.

5. კომისიის თავმჯდომარის არყოფნისას მას ცვლის თავმჯდომარის მოადგილე.
6. კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით კომისიაში შესაძლებელია სპეციალისტების მოწვევა.

მუხლი 18.

1. კომისიის წევრებს შორის მოვალეობებს ანაწილებს და მუშაობის რეჟიმს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.
2. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.
3. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტია.
4. კონკურსის მოწყობასა და ჩატარებას უზრუნველყოფს უზენაესი სასამართლოს საერთო განყოფილება

თავი VI. კონკურსი

მუხლი 19

1. კონკურსს აცხადებს საქართველოს უზენაესი სასამართლო.
2. კონკურსი საჯაროდ ცხადდება კონკურსამდე არაუადრეს ორი კვირისა.
3. საკონკურსო კომისიის სხდომა ტარდება არაუადრეს სამი კვირისა კონკურსის შესახებ შეტყობინების გამოქვეყნების დღიდან.

მუხლი 20

1. კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით იქმნება საკონკურსო კომისიის სამდივნო (შემდგომში – სამდივნო), რომელსაც ხელმძღვანელობს სამდივნოს უფროსი.
2. სამდივნოს ევალება სტაჟიორობის კანდიდატთა განცხადებების მიღება, საბუთების მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება და კომისიისთვის დოკუმენტების წარდგენა.
3. საკონკურსო დოკუმენტაცია ინახება სტაჟიორის პირად საქმეში.
4. კონკურსის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ სამდივნო წყვეტს არსებობას.
5. კონკურსში მონაწილეობისთვის მოთხოვნები და წარსადგენი საბუთების ნუსხა განისაზღვრება ყოველი კონკურსის ჩატარებამდე.
6. საბუთების რეგისტრაციის ვადაში კანდიდატს უფლება აქვს, გამოიტანოს განცხადება ან შეცვალოს სტაჟირების სფერო შესაბამისი განცხადებით.

მუხლი 21

1. კონკურსი შეიძლება ჩატარდეს ტესტირების ან/და გასაუბრების ფორმით, რის თაობაზეც გადაწყვეტილებას იღებს საკონკურსო კომისია სასამართლოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით.
2. ტესტირების ან/და გასაუბრების თემატიკის შესახებ კანდიდატები კონკურსამდე ერთი კვირით ადრე მაინც უნდა იყვნენ ინფორმირებულნი.
3. ტესტირების ან/და გასაუბრების შესახებ დადგენილ თემატიკაზე (ფორმაზე) დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეიძლება დაადგინოს სასამართლოს თავმჯდომარემ.
4. ტესტირებაზე ან გასაუბრებაზე კანდიდატის გამოუცხადებლობის შემთხვევაში იგი კონკურსიდან მოიხსნება.

მუხლი 22

1. ტესტირება ტარდება წერილობითი ფორმით. ტესტირების თემატიკას და პროგრამას განსაზღვრავს სასამართლოს თავმჯდომარე.
2. ტესტირების ჩატარების წესს ამტკიცებს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.

მუხლი 23

სტაჟიურობის მსურველისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან კანდიდატის ჩვევების, შესაძლებლობებისა, ცოდნის და პირადი თვისებების შესაბამისობის შეფასება ასევე შესაძლებელია ზეპირი გასაუბრების გზით.

მუხლი 24

კონკურსის შედეგებს კომისია განიხილავს სხდომაზე კანდიდატთა დაუსწრებლად და იღებს გადაწყვეტილებას მათი სტაჟიორად მიღების თაობაზე.

მუხლი 25

1. გადაწყვეტილების მისაღებად კომისია სხდომაზე ატარებს ღია კენჭისყრას.
2. ყველა კანდიდატს ცალ-ცალკე ეყრება კენჭი.
3. იმ კანდიდატების მიმართ, რომლებმაც მიიღეს ხმების თანაბარი რაოდენობა, კენჭისყრა ეყრება ხელახლა.

მუხლი 26

1. კომისია წარადგენს კანდიდატს დასანიშნად ან უარს აცხადებს კანდიდატის წარდგენაზე.
2. კომისია სასამართლოს თავმჯდომარეს წარუდგენს კონკურსის შედეგად შერჩეულ კანდიდატურებს.
3. სასამართლოს თავმჯდომარე კომისიის დასკვნის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას კონკურსში გამარჯვებული კანდიდატის დანიშვნის შესახებ.

მუხლი 27

კონკურსი ჩაშლილად ითვლება, თუ მასში მონაწილეობის მისაღებად არ იქნება წარდგენილი არცერთი განცხადება.

მუხლი 28.

1. კომისია, გასაუბრებას აწყობს წელიწადში ერთხელ.
2. გადაწყვეტილებას გასაუბრების გადადების შესახებ იღებს კომისიის თავმჯდომარე სასამართლოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

თავი VII. სტაჟირების გავლის სხვა პირობები

მუხლი 29.

1. სტაჟირების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:
 - ა) სტაჟირების პერიოდში სასამართლოში არასაკმარისი მიზეზით 5 დღის განმავლობაში გამოუცხადებლობა ან დაგვიანებით გამოცხადება;
 - ბ) დავალების შეუსრულებლობა;
 - გ) სასამართლოსათვის ქონებრივი ზიანის მიყენება;
 - დ) საზოგადოებრივი ნორმების წინააღმდეგ ან მოხელისა და სასამართლოს დისკრედიტიზაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი;
 - ე) პირადი განცხადება;
 - ზ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა საფუძველები.
2. სტაჟირების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საკონკურსო კომისია სასამართლოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით.